პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 მარტი, ხუთშაბათი, 1985 წ.
№ 59 (8870) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ორმაგად სასიხარულო გამარჯვება



მსაჯები და სპეციალისტები შეჯიბრების დაწყებამდე ვარაუდობდნენ, რომ პირველობისთვის ძირითადად მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს გუნდები იბრძოლებდნენ.

პროგნოზი ზუსტი გამოდგა — პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ სწორედ ეს გუნდები დაწინაურდნენ. შეჯიბრების მეორე დღეს კი ცხადი გახდა: პირველ ადგილზე გასვლის შანსი მხოლოდ მოსკოვისა და საქართველოს გუნდებს ჰქონდათ.

— საბჭოთა კავშირის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში განათლების სამინისტროს სპორტულ სკოლებს შორის სამ წელიწადში ერთხელ ტარდება. — თქვა მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა როზა ბერიკაშვილმა. **— წლევანდელი შეჯიბრება რიგით მეთორმეტეა. გამარჯვება ორმაგად სასიხარულო იქნება ჩვენთვის: გამარჯვება გამარჯვებად და არანაკლებ საგულისხმო და სასიამოვნოა პროგრესი — წინა, მეთერთმეტე პირველობაზე ჩვენმა გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა.**

...გუნდური პირველობის ბოლო დღეს გოგონები ლენტით და გურზებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველაფერი ძირითადად მაინც გუნდის ლიდერების — ევგენია შირინკინას, ელისო ბედოშვილისა და ვერა ყიფიანის გამოსვლაზე იყო დამოკიდებული. შირინკინამ შესანიშნავად შეასრულა რთული ელემენტებით სავსე ვარჯიში გურზებით და 9,5 ქულა დაიმსახურა (ეს შეფასება უმაღლესი იყო ამ შეჯიბრებაზე). თუმცა ცოტა უფერულად გამოუვიდა ლენტით ვარჯიში (დასაწყისშივე გაუვარდა საგანი). 8,75 ქულით აღნიშნეს მსაჯებმა ბედოშვილის ორივე გამოსვლა. შედარებით დაბალი შეფასება დაიმსახურა ყიფიანმაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ღელავდნენ მეტოქე გუნდის ლიდერებიც, მოსკოველი ტანმოვარჯიშეები.

საბოლოოდ 266,1 ქულით გაიმარჯვა თბილისის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის გუნდმა (დირექტორი — როზა ბერიკაშვილი, გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა მანანა კერესელიძე-ცაბაძემ). მეორე ადგილზე გავიდა მოსკოვის ლენინგრადის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა. მესამეზე — ოლიმპიური რეზერვის ზაპოროჟიეს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა.

ასპარეზობის მეოთხე დღეს მოეწყო შეჯიბრება პირად პირველობაში აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის. ტანმოვარჯიშეები სახტუნაოთი, ბურთით, გურზებითა და ლენტით ვარჯიშში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვების თითქმის თანაბარი შანსები ჰქონდათ ევგენია შირინკინას და ელა კეკერჩენის (უკრაინა). სპეციალისტებისა და მაყურებლის დიდი სიმპათია დაიმსახურა უზბეკეთის გუნდის ტანმოვარჯიშემ ელენა ხოლოდოვამ, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ ლიდერებს ღირსეულ მეტოქეობას ვერ გაუწევდა — ხოლოდოვას აქვს არაჩვეულებრივი ბუნებრივი მონაცემები, მაგრამ ჯერჯერობით ტექნიკა აკლია.

კეკერჩენმა ლამაზად, დახვეწილად შეასრულა ყველა ვარჯიში, და იმ დღეს მიღებული ქულებით უსწრებდა კიდეც შირინკინას, მაგრამ პირად პირველობაში დამსახურებულ შეფასებას დაემატა გუნდური შეჯიბრების ქულები და აქ უპირატესობა შირინკინას მხარეს აღმოჩნდა — 92,65 ქულით მარინა ვიშნიაკოვას მოწაფე შეჯიბრების აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. 92,05 ქულით მეორე ადგილზეა ელა კეკერჩენი, 90,55 ქულა მოაგროვა ელენა პოდკოპაევამ (ბელორუსია).

უმცროს ასაკში გაიმარჯვა ოქსანა სკალდინამ (უკრაინა). მეორე ადგილი დაიკავა ელისო ბედოშვილმა, მესამე — ვერონიკა ჩუმაკმა (მოსკოვი).

ნანა მირიანაშვილი.

ელვა-ინფორმაცია

გუშინ, შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, ტანმოვარჯიშეები ცალკეულ სახეობებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. უფროს ასაკში უსაგნოდ, გურზებით, ბურთითა და სახტუნაოთი ვარჯიშში გაიმარჯვა ევგენია შირინკინამ (თბილისი), რგოლით და და ლენტით — ტატიანა ილვესმა (ასტრახანი); უმცროს ასაკში უსაგნოდ, რგოლითა და სახტუნაოთი პირველი იყო ელისო ბედოშვილი, გურზებით — ვერა ყიფიანი (ორივე — თბილისი), ბურთით და ლენტით — ვერონიკა ჩუმაკი (მოსკოვი).

სურათებზე: ევგენია შირინკინა და ელისო ბედოშვილი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: საბჭოთა კავშირი – ავსტრია

გენერალური რეპეტიცია „დინამოს" სტადიონზე

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 27 მარტი. 25 ათასი მაყურებელი.

სსრ კავშირი (ნაკრები) — ავსტრია (ნაკრები) 2:0 (1:0).

სსრ კავშირი: დასაევი, სულაქველიძე, ბოროვსკი, დემიანენკო, ბალტაჩა, ალეინიკოვი, გოცმანოვი, ლიტოვჩენკო, გავრილოვი, პროტასოვი, სტუკაშოვი.

ავსტრია: კონსილია, მესლენდერი, ობერმაიერი, ბრაუნედერი, პეცაი, ვებერი, გიზინგერი, პროჰაზკა, შახნერი, ობერახერი, იარა.

46-ე წთ. ბრაუნედერის ნაცვლად — ლაინერი, გიზინგერის ნაცვლად — დეგეორგი, 58-ე წთ. სტუკაშოვის ნაცვლად — კონდრატიევი, 67-ე წთ. გოცმანოვის ნაცვლად — ზიგმანტოვიჩი, 76-ე წთ. ლიტოვჩენკოს ნაცვლად — შავლო.

მსაჯები: კლაუს პეშელი, ვოლფგანგ ჰენინგი, კლაუს-დიტერ შტენცელი (ყველა — გდრ).

გააფრთხილეს მესლენდერი.

მატჩის წინ ავსტრიელთა ნაკრების კაპიტანს, მის ერთ-ერთ ლიდერს ჰერბერტ პროჰაზკას ვესაუბრე. „დღევანდელი შეხვედრა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, — თქვა კაპიტანმა, — მაგრამ თამაშის შედეგი ნაკლებად გვაღელვებს. მთავარია განვამტკიცოთ ურთიერთგაგება ცალკეულ ფეხბურთელებს შორის და შევეცადოთ იმ გეგმის განხორციელებას, რაც ჩვენმა ახალმა მწვრთნელმა ბრანკო ელსნერმა დაგვისახა".

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა დავალება მისცა ელსნერმა თავის ფეხბურთელებს, მაგრამ არა მგონია მათი თამაშით კმაყოფილი დარჩენილიყო. საერთოდ, ნებისმიერი ამხანაგური შეხვედრა უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის მზადებას ითვალისწინებს, მაგრამ გუშინდელი მატჩი ამ მხრივ მაინც გამორჩეული იყო. იგი ორივე მეტოქისთვის ბოლო რეპეტიცია გახლდათ მსოფლიო ჩემპიონატის უაღრესად საპასუხისმგებლო შესარჩევი თამაშების წინ: 17 აპრილს საბჭოთა ფეხბურთელები სტუმრად შეხვდებიან შვეიცარიის ნაკრებს, ავსტრიელები კი უნგრეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებენ. სწორედ ამით აიხსნებოდა ისიც, რომ გუშინდელ შეხვედრას თვალს ადევნებდნენ დაინტერესებული პირნი — შვეიცარიისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების მწვრთნელები.

მასპინძლებმა გაიმარჯვეს საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით — 2:0. რა თქმა უნდა, მოგება თავისთავადაც სასიხარულოა, მაგრამ იგი არანაკლებ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს კი შესარჩევი თამაშების წინ მეორეხარისხოვანი ფაქტორი როდია.

სანახაობრივად მატჩი ვერ გამოდგა მაინცდამაინც მიმზიდველი. თუმცა, პირველ წუთებზე ფეხბურთელებმა რამდენიმეჯერ აალელვეს ერთმანეთიცა და სტადიონზე მოსული მაყურებელიც. გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ მასპინძლებს, მაგრამ კიდევ უფრო სახიფათო იყო ავსტრიელთა კონტრშეტევები, განსაკუთრებით კი მე-16 წუთზე განხორციელებული სწრაფი იერიში, რომლის შედეგადაც დასაევის პირისპირ დარჩა სტუმართა გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი შახნერი. ამ გამოცდილმა ფეხბურთელმა მთელი ყურადღება რატომღაც დარტყმის ძალაზე გადაიტანა და პირდაპირ დასაევს მოარტყა ბურთი. რაც დრო გადიოდა, ავსტრიელთა შეტევები სულ უფრო უხიფათო ხდებოდა, საბჭოთა ფეხბურთელები კი თანდათან აუმჯობესებდნენ თამაშს, რაც ძირითადად გავრილოვის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. თუ გავრილოვი ცდილობდა მოეწესრიგებინა თანაგუნდელთა ურთიერთმოქმედება, იგივეს ვერ ვიტყვით პროჰაზკაზე. იგი რატომღაც ჩრდილში იყო მოქცეული, რაც ყველაზე ადრე მისმა პარტნიორებმა „შეამჩნიეს": შესვენების შემდეგ დისპეტჩერის ფუნქციები იარამ იკისრა და არცთუ ურიგოდ. ყოველ შემთხვევაში, ის რამდენიმე სახიფათო მომენტი, რომლებიც დასაევის კართან შეიქმნა, იარას უშუალო მცდელობის შედეგი გახლდათ.

გოლები, რომლებმაც თამაშის ბედი გადაწყვიტა, პირველი ტაიმის მიწურულსა და მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანეს დემიანენკომ და პროტასოვმა. ორივე ბურთი, ჩემი აზრით ავსტრიელი მცველების შეუთანხმებელი თამაშის შედეგი იყო. არადა, სტუმართა დაცვას ხელმძღვანელობდა ისეთი გამოცდილი ფეხბურთელი, როგორიცაა ბრუნო პეცაი. მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა პარტნიორებმა თავიანთ მეტოქეებს ხელი ვერ შეუშალეს წარმატების მიღწევაში.

თვალშისაცემი იყო ერთი რამ: უზუსტო დარტყმების დიდი რაოდენობა, რაშიც ორივე გუნდი სცოდავდა.

ასეა თუ ისე, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა მეტოქე, რომელიც სულაც არ არის ხელწამოსაკრავი. იმედია, ამხანაგურ მატჩში მოპოვებულ წარმატებას საბჭოთა სპორტსმენები ოფიციალურ შეჯიბრებებშიც განამტკიცებენ.

დავით კაკაბაძე.

ფინალი: საქართველო— უკრაინა

საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელებს, რომლებიც ვიტალი დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საკავშირო ტურნირში მონაწილეობენ, გუშინ ძნელი ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. სომხეთის ნაკრებთან ნახევარფინალურ შეხვედრაში მათ აკლდათ რამდენიმე ძირითადი მოთამაშე. ისინი საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში გაიწვიეს საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა მაინც სძლიეს მეტოქეს (2:1), თუმცა თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს კაშიამ და მეტრეველმა. საქართველოს ნაკრები ხვალ, 29 მარტს, ფინალში შეხვდება უკრაინელებს, რომლებმაც პენალტების სერიით დაამარცხეს მოსკოველები (ამ მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა 1:1). III ადგილისთვის იბრძოლებენ მოსკოვისა და სომხეთის ნაკრები გუნდები.

ფინალური მატჩი თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება (დასაწყისი 15 საათზე).

ავანსებს სინამდვილე ცვლის

ამ ბოლო დროს ასე დაგვჩემდა: საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეებზე საუბრისას საქებარ სიტყვებს არ ვიშურებდით. მართლაც, ბევრ წარმატებას მიაღწიეს ტყავის ხელთათმანის ჭაბუკმა ოსტატებმა (გავიხსენოთ, თბილისის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი, „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდული პირველობა). ერთხანს, წარსულ, ხანგრძლივ ჩავარდნათა მოწმეებს გვიჭირდა იმის დაჯერება, რომ ახალი, ძლიერი ტალღა მოვიდა, და დაეჭვებული კაცის პირობაზე ამ საქებრად თქმულს ავანსად გაცემულად ვთვლიდით. ავანსი კი, მოგეხსენებათ იმაზე მეტია, რასაც სინამდვილეში იმსახურებს ადამიანი... მაგრამ აი, გამოხდა ხანი და თანდათან დავრწმუნდით, ჩვენს მოკრივეებს აღარ სჭირდებათ წამახალისებელი ქება. ისინი თამამად ამბობენ უკვე თავიანთ სათქმელს.

სარანსკის კულტურის სახლი რვა დღეს მასპინძლობდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა მოკრივეთა პირველობას, რომელშიც ათი მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები მონაწილეობდნენ. ამ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს — შარშანდელი III ადგილიდან II ადგილზე გადაინაცვლეს, ასეთი შედეგისათვის აქამდე ჩვენი ბურევესტნიკელების არც ერთი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს არ მიუღწევიათ. ესაა საერთო მაჩვენებელი. ახლა პირადი პირველობის შედეგებსაც გადავხედოთ — ჩვენმა შვიდმა სპორტსმენმა სხვადასხვა ხარისხის ჯილდო დაიმსახურა... თუმცა სჯობს კომენტარი ვთხოვოთ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების უფროს მწვრთნელს **ზურაბ გუნიას**:

— ფოთელმა სერგეი კაპლინმა (48 კგ) პირველად მიიღო მონაწილეობა ასეთ საპასუხისმგებლო და წარმომადგენლობით შეჯიბრებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტოლი არავის დაუდო, სამივე ბრძოლაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. სერგეი ცაციაა, ძირითადად კონტრშეტევებზე იბრძვის, ჰკვიანი, ტექნიკური მოკრივეა და, რაც მთავარია, ენერგიული, მიზანსწრაფული ყმაწვილია. ამ წონით კატეგორიაში ჭაბუკთა I თამაშებისთვის თითქმის ორი თანაბარი ძალის სპორტსმენი ემზადება: რუდიკ კაზანჯიანი და კაპლინი. ამ წონაში სხვა რესპუბლიკებსაც ძლიერი მოკრივეები ჰყავს, ამიტომ ჩვენმა ბიჭებმა დაუღალავად უნდა ივარჯიშონ, რათა წლის მთავარ შეჯიბრებაში თავი არ შეირცხვინონ.

54 კგ. წონით კატეგორიაში თბილისელი კამო ღარიბოვი მსგავსი ტურნირის ფინალში შარშანაც იბრძოდა. აღსანიშნავია, რომ ამჯამად კამოს ძირითადად მასზე ერთი წლით უფროსებთან მოუხდა გამოსვლა და მაინც აშკარა უპირატესობით მოიგო ორი ბრძოლა. ფინალში კი, რსფსრ-ის გუნდის წევრთან სერგეი კოსტინთან შეხვედრაში, მსაჯებმა გამარჯვება კოსტინს მიაკუთვნეს. ღარიბოვი საკმაოდ გამოცდილი და მეტად მუყაითი მოკრივეა. ჭაბუკთა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში მოსახვედრად მას კონკურენციას გაუწევს დავით შარვაშიძე.

გია სადალაშვილმა ფინალამდე მიაღწია. მის წონაში (57 კგ) 21 ათლეტი ასპარეზობდა. მან ორი შეხვედრა მოიგო, ხოლო გადამწყვეტი, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრ ფარიდ ბუმარაშინთან (რსფსრ) დამარცხდა. გიას ოსტატობის ზრდა უკვე შესამჩნევია. სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს არც ველოდით. ადგილს რესპუბლიკის ნაკრებში მას შეეცილება სოხუმელი რუდიკ აგრბა.

თბილისელ ივანე ბახტაძესთან ერთად 63,5 წონით კატეგორიაში თერთმეტი მოკრივე გამოდიოდა, მაგრამ ივანეს ბედმა უმტყუნა, ორი შეხვედრის მოგების შემდეგ ავად გახდა და პირველი ადგილისთვის ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. გაიმარჯვა რსფსრ-ის წარმომადგენელმა პაველ კუტიროვმა. ბახტაძე პერსპექტიული მოკრივეა, ამ ბოლო დროს სტაბილურად ასპარეზობს; მაგალითად, თბილისის საერთაშორისო ტურნირში II ადგილზე გავიდა.

ბესო გურჯია (67 კგ) გალის რაიონში დაიბადა, მაგრამ კრივში ვარჯიში ფოთის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსურ სკოლაში დაიწყო გიგლა ბახტაძის ხელმძღვანელობით. იგი უკვე გამოცდილი სპორტსმენია და ამიტომ მისგან უფრო მეტს ველოდით. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს შარშანდელ გამარჯვებულთან, ადგილობრივ მოკრივე სერგეი ტოლმაევთან ბესოს ორი რაუნდი მოგებული ჰქონდა. მიკვირს, როგორ მოახერხა მან ამ ბრძოლის წაგება. საბოლოოდ იგი III ადგილზე გავიდა. მის წონაში ძლიერი ათლეტები გამოდიან და ამიტომ, როგორც ბესოს, ისე ქუთაისელ დათო ფურცხვანიძეს, დიდი გარჯა მართებთ იმისათვის, რომ ღირსეულ მეტოქეებს გაუმკლავდნენ.

ქუთაისელი მოსე გოლოძე (75 კგ) მეორე ბრძოლაში მძიმედ დაშავდა და მხოლოდ III ადგილს დასჯერდა. უნდა ითქვას, რომ იგი შედარებით სუსტად იყო მომზადებული ამ ასპარეზობისთვის, თუმცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორს მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენა მართებდა.

91 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ქუთაისელმა ალექსანდრე გვენცაძემ III ადგილი მოიპოვა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: სერგეი კაპლინი, სერგეი სამოილოვი (რსფსრ), სერგეი კოსტინი, ფარიდ მუბარაკშინი, სტანისლავ კუზოვიხინი (რსფსრ), პაველ კუტიროვი, ვლადიმერ კრავჩენკო (რსფსრ), ვიქტორ ჩიგრინი (ყაზახეთი), ანდრეი მოხნა (უკრაინა), არკადი მიხინი (რსფსრ), ტულკუნ ხუჯანბერდიევი (უზბეკეთი), გევორგ მარიკიანი (სომხეთი).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: **1. რსფსრ, 2. საქართველო, 3. უზბეკეთი.**

ჟოლა დავითაძე.

„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი

სერგეი კაპლინი

კრივი

დაიბადა 1968 წელს, ფოთში.
სიმაღლე 160 სმ, წონა 48 კგ.
სწავლობს ფოთის მე-8 საშუალო სკოლის მე-10 კლასში.
კრივში მეცადინეობა დაიწყო 1980 წელს ფოთის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსურ სკოლაში გიგლა ბახტაძის ხელმძღვანელობით.
„ბურევესტნიკის“ წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია 1985 წლიდან.
ამჟამად ვარჯიშობს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ზურაბ გუნიასა და გ. ბახტაძის ხელმძღვანელობით.
1984 წელს მოიპოვა საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონობა.
წლეულს ქუთაისში ფრიდონ ლომიძის საკავშირო მემორიალში I ადგილი დაიკავა.
„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს 1985 წლის ჩემპიონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

როცა კაცი ამა თუ იმ მიზეზის გამო თავის საყვარელ საქმეს ჩამოსცილდება, მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება უკმარობისა და სინანულის გრძნობა და მანამ ვერ მოისვენებს, სანამ ისევ იმ ძველ საქმეს არ დაუბრუნდება. სწორედ ასე დაემართა სამოციანი წლების ცნობილ სპორტსმენს ზურაბ პაპიძესაც...

ზურაბი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი იყო, როცა გიორგი კოშაძის ხელმძღვანელობით ძალოსნობაში დაიწყო ვარჯიში. რამდენიმე წელი არ იყო გასული, რომ იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა საშუალო წონით კატეგორიაში, 1963 წელს კი ოთხი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — თითქმის 5-5 კილოგრამით გააუმჯობესა რობერტ გალოიანის ადრინდელი მიღწევები. იმავე წელიწადს ზურაბ პაპიძემ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე IV საპრიზო ადგილი მოიპოვა (მაშინ პირველი ექვსი ადგილი საპრიზოდ ითვლებოდა), ხოლო ერთი წლის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა სოფლის სპორტსმენთა შორის.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ზურაბ პაპიძე სამუშაოდ გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის ლენინის ორდენოსან საბჭოთა მეურნეობაში გაანაწილეს სამუშაოდ. ახალგაზრდა აგრონომს 150 ჰექტარი ხილის ბაღები ჩააბარეს მოსავლელად.

ზურაბი ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ერთთავად ბაღებში ტრიალებდა, დღე-ღამეს ასწორებდა და შედეგმაც არ დააყოვნა — მუყაითი შრომისთვის იგი საპატიო ნიშნისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით დააჯილდოვეს.

ნდობა და შრომის დაფასება — მეტი რაღა უნდა ახალგაზრდა სპეციალისტს. მაგრამ ზურაბ პაპიძე სულით ჭეშმარიტი სპორტსმენია და ამიტომ მუდამ თან სდევდა ის უკმარობისა და სინანულის გრძნობა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ამის გამო თუ იყო, რომ მან ხუთი წლის წინათ ვარკეთილში ძალოსანთა ჯგუფი ჩამოაყალიბა. ამ ხნის მანძილზე მან უკვე ერთი სპორტის ოსტატი და ორი ოსტატობის კანდიდატი გაზარდა. მისი აღზრდილები არიან რესპუბლიკის ორგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, ვარკეთილის საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ელგუჯა მინაძე, რომლის საუკეთესო შედეგია 219 (97 + 122) კგ, საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის მეორე პრიზიორები ზაზა ჩიბურდანიძე და რამაზ დავიდოვი, აგრეთვე ზურაბ ხუციშვილი, ვარდო გოგიაშვილი და სხვები...

ამჟამად ვარკეთილის ძალოსნობის დარბაზში, რომელიც ზურაბმა მეურნეობის დირექტორის ანზორ ახვლედიანის დახმარებითა და შემწეობით მოაწყო, თხუთმეტი უმცროსი და ათიც უფროსი ასაკის მოსწავლე ვარჯიშობს. მსურველი კი გაცილებით მეტია, რადგან ზურაბ პაპიძისა და მისი კოლეგის, სპორტის ოსტატობის კანდიდატის ვაჩესლავ ქოქოშვილის წყალობით ძალოსნობა სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად იქცა ვარკეთილში.

ნუგზარ შატაიძე.

სურათებზე: ზურაბ პაპიძე თავის აღსაზრდელებთან; ნორჩი ძალოსნების წვრთნისას.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

კანდიდატებმა ყველას სძლიეს

ამ დღეებში თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის ჭაბუკთა I ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელშიც 10 რაიონის გუნდი მონაწილეობდა (თითოეულში ერთი გოგონა და ოთხი ჭაბუკი თამაშობდა).

I ქვეჯგუფში პირველი ადგილი დამაჯერებელი შედეგით მოიპოვა საბურთალოს რაიონის გუნდმა, რომელმაც უახლოეს მეტოქეს — 26 კომისრის სახელობის რაიონის კოლექტივს სამი ქულით გაუსწრო.

შედარებით დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა მეორე ქვეჯგუფში, სადაც საქარხნო რაიონის ყმაწვილებმა ქულანახევრით გაუსწრეს კალინინის რაიონის თანატოლებს, მაგრამ ფინალში საბურთალოს რაიონის გუნდმა, რომელიც მთლიანად ოსტატობის კანდიდატებით იყო დაკომპლექტებული, გამანადგურებელი ანგარიშით — 5:0 დაამარცხა საქარხნო რაიონის კოლექტივი. გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რ. კაკაბაძე, კ. ჯიქვაძე, რ. გეწაძე, გ. როგავა და ნ. ქევხიშვილი.

III ადგილზე 26 კომისრის რაიონის წარმომადგენლები გავიდნენ.

ი. ლაპიდუსი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ინფორმაცია

იუბილეს მიეძღვნა

ჩოხატაურის რაიონის მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება, რომელსაც სოფელ ხაბუმეს სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა, დიდი გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირში 14 გუნდი მონაწილეობდა. პირველობა ხაბუმეს საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა დაისაკუთრეს.

იაშა ნაჭყებია.

მკითხველი — გაზეთი

მოგმართავთ ჯალაურთის საშუალო სკოლის მერვეკლასელი გოგონების სახელით: გვსურს ჩვენს სკოლაში შევქმნათ რიტმული ტანვარჯიშის სექცია. გთხოვთ გაზეთის საშუალებით გამოაქვეყნოთ სპეციალური ვარჯიშები, რომლებსაც მეცადინეობისას გამოვიყენებთ.

გულთამზე, კესო და ირმა ცარციძეები,
სოფელი ჯალაურთა, საჩხერის რაიონი.

პასუხი: რიტმული ტანვარჯიშის სექციის ჩამოყალიბება ისე იოლი საქმე არ არის, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. თუ აერობიკა გიტაცებთ და გსურთ სისტემატურად ივარჯიშოთ, პირველ ყოვლისა დახმარებისთვის მიმართეთ თქვენი სკოლის ხელმძღვანელებს, რაიონის სპორტკომიტეტს, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექციას. თქვენთვის საინტერესო ყველა საკითხზე მათგან მიიღებთ ამომწურავ პასუხს. „ლელოს“ რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ ისინი თქვენ თხოვნას აუცილებლად გაითვალისწინებენ.

ოსტატი და შეგირდი

დღეს გვინდა გიამბოთ კაცზე, ვისაც უმძიმესი ტვირთის ზიდვა მოუხდა. და თუ დღეს ძიუდოს ქართული სკოლა მთელ მსოფლიოშია ცნობილი და აღიარებული, თუ დღეს „ქართულ ძიუდოს" ანგარიშს უწევენ თვით „ამომავალი მზის" ქვეყანაში — ძიუდოს სამშობლოში — ეს სწორედ ამ კაცის თავდაუზოგავი შრომის საზღაური გახლავთ.

ბიძინა მაზიაშვილი — მას ძიუდოს ყველა მოყვარული იცნობს. მან გადაადგმევინა ანზორ მარტყოფლიშვილს პირველი ნაბიჯები, მან მიიყვანა შოთა ჩოჩიშვილი ოლიმპიურ ტრიუმფამდე. ამ კაცის სახელი „ქართული ძიუდოს" სინონიმად იქცა.

დაიწყო ასე... კახეთი, ქიზიყის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი მაჩხაანი. ბავშვობა. ძილის წინ ოცნებაში დახატული სურათები: მომცრო ტანის ჭმუხი ბიჭი ყველას ამარცხებს საჭიდაო მოედანზე, უფროსები ულიმიან და კმაყოფილნი უთათუნებენ მხარზე ხელს, თანატოლები აღტაცებით შეჰყურებენ... საოცარი ის იყო, რომ მეორე დღეს ნახერხმოყრილ საჭიდაოზე დამარცხება გულს არ სტკენდა, პირიქით, ამშვიდებდა კიდეც, აიძულებდა სიფიცხე დაეთრგუნა და უფრო დაკვირვებით ეჭიდავა... წლების შემდეგ, როცა მწვრთნელის პროფესიას აირჩევს, მისი ეს უნარი რთულ, კრიტიკულ ვითარებაში არაერთხელ გამოადგება მისსავე შეგირდებს.

მამისა და ბიძების ფრონტზე წასვლის შემდეგ ოჯახის მთელი სიმძიმე მისმა ბავშვურმა მხრებმა იტვირთა. სადღა ეცალა ჭიდაობისთვის. ერთ დღეში დაკაცდნენ ჯერ უწვერულვაშო ბიჭები. უჭირდა სოფელს...

დადგა 1945 წლის მაისი... სოფელში დაბრუნდნენ ნაომარი ვაჟკაცები, ჩაძინებულმა საჭიდაომაც გამოიღვიძა, ზურნა აჭყვიტინდა.

ჯერ რამდენიმე რაიონული შეჯიბრება მოიგო, მერე კი...

1953 წელს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. სწორედ აქ გაისმა პირველად ბიძინა მაზიაშვილის სახელი. იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ კიდევ ექვსჯერ იყო საქართველოს პირველი ფალავანი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში. სწორედ ამ წლებში მოიხიბლა მაშინ ჯერ კიდევ სრულიად უცნობი იაპონური ჭიდაობით — ძიუდოთი. ქართული ჭიდაობის უძველეს ტრადიციებზე გაზრდილმა ჭაბუკმა იგრძნო ჭიდაობის ამ უაღრესად ლამაზი სახეობის ლაზათი. არსად ისე არ ფასდება ილეთის სისწრაფე და მოჭიდავის მოქნილობა, როგორც ძიუდოში. არც ერთი სხვა სახეობა ტექნიკური არსენალით ისე ახლოს არ დგას ქართულ ჭიდაობასთან, როგორც ძიუდო. და ბიძინა მაზიაშვილმაც უყოყმანოდ გააკეთა არჩევანი.

მწვრთნელი

დაწყება თითქმის ანბანიდან მოუხდა, მაგრამ აქაც ქართული ჭიდაობა დაეხმარა. ვარჯიშობდა დაუღალავად, ილეთებს რის ვაინაჩრობით ნაშოვნი სახელმძღვანელოებიდან სწავლობდა. მწვრთნელი არ ჰყავდა, ან რომელ მწვრთნელზე შეიძლებოდა ლაპარაკი იმ დროს, როცა თვით ძიუდოთი დაინტერესებული ენთუზიასტებიც კი თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტანა.

1957 წლის 15 ნოემბერს ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, სადაც საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრები პირველად გამოდიოდა, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოთხი ქართველი ფალავანი ავიდა. ერთ-ერთი მათგანი ბიძინა მაზიაშვილი გახლდათ.

მაგრამ მაინც ადრე ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს. მიზეზი? მიზეზი ერთი იყო...

მას შეეძლო ერთხანს კიდევ გამოსულიყო ტატამზე, რადგან ჯერ ისევ სავსე იყო ძალ-ღონითა და სპორტული ჟინით. საბუთი? 1968 წელს მინსკში სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო პირველობაზე ერთ-ერთი ქართველი ძიუდოისტი დაშავდა. გუნდის ინტერესებისთვის საჭიდაო კიმონო ბიძინა მაზიაშვილმა ჩაიცვა და... პირველობა არავის დაუთმო. ამ დროს იგი უკვე საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი გახლდათ და ხუთი წელი სრულდებოდა, რაც ტატამზე არ გამოსულიყო!

დიახ, მიზეზი ერთი იყო...

ჭაბუკს კარგად ესმოდა, რომ რამდენიმე, თუნდაც ნიჭიერი და თავდადებული ენთუზიასტი ძიუდოს ფეხზე ვერ დააყენებდა რესპუბლიკაში, რომ საჭირო იყო საფუძვლის შექმნა და ამიტომ ანაცვალა პირადი საზოგადო ინტერესს.

60-იანი წლების დასაწყისი ჭიდაობის ისტორიაში შევა როგორც ძიუდოს ქართული სკოლის შექმნის პერიოდი. აქედან დაიწყო აღმასვლა „ქართული ძიუდოსი", რომელსაც ბურჯად შეუდგნენ ჭიდაობაზე ფანატიკურად შეყვარებული ახალგაზრდები — ორი ენთუზიასტი: ბიძინა მაზიაშვილი და გურამ პაპიტაშვილი. ახლა ეს სახელები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემითაა გარემოსილი, მაშინ კი ბევრი სკეპტიკურად უცქერდა ახალგაზრდების ოპტიმიზმს, არ ეგონათ თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის გვერდით ძიუდო თუ დამკვიდრდებოდა. ისინი კი მუშაობდნენ. მუშაობდნენ თავდაუზოგავად. ეძებდნენ ინვენტარს პატარა დარბაზის მოსაწყობად, ეძებდნენ სპორტულ სამოსელს, ეძებდნენ მაშინ ჯერ კიდევ უცხო საჭიდაო ხალიჩებს — ტატამს, რაც მთავარია, ეძებდნენ ძიუდოთი მოხიბლულ ბიჭებს. მალე ისინიც გამოჩნდნენ: ჯერ თითო-ოროლა, მერე — ჯგუფებად. უკვე არ ჰყოფნიდათ საჭიდაო ჩოხები, დარბაზში ყველანი ერთად ვერც კი ეტეოდნენ, მაგრამ სიძნელეებს არ შეუშინებიათ, რადგან სწამდათ თავიანთი მწვრთნელებისა, სწამდათ მომავალი გამარჯვებების. და აი, პირველი ნამდვილი, დიდი წარმატებაც მოვიდა. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა ძიუდოისტებმა ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიკვილაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ეს იყო საბჭოთა ძიუდოს ტრიუმფი, ეს იყო „ქართული ძიუდოს" აღიარება, ეს იყო ბიძინა მაზიაშვილის დაუღალავი შრომის ნაყოფი.

მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო.

1967 წელს ბიძინა მაზიაშვილი საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ახლა იგი პასუხს აგებდა არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა ძიუდოს ავ-კარგზე. ათ წელიწადს ეპყრა მას უკვე გამოცდილ მარჯვენას საბჭოთა ნაკრების საჭე. ამ ათი წლის მანძილზე მსოფლიო საბჭოთა ძიუდოისტების არნახული წარმატებების მოწმე გახდა. უდიდესი წვლილი ამ წარმატებებში სწორედ ქართველმა ძიუდოისტებმა შეიტანეს.



დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელობა, დროსაც ბევრს ართმევდა, მაგრამ შეეძლო მიეტოვებინა მის მიერ შექმნილი, მის ხელში დავაჟკაცებული „ქართული ძიუდო"? საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს ნაკრებს — 1962 წლიდან 1982 წლამდე ჩვენს გუნდსაც თავკაცობდა. ძნელი იყო ერთდროულად ორი დიდი საქმის გაძღოლა, მაგრამ აქაც გურამ პაპიტაშვილი ამოუდგა მხარში. ის ეხმარებოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან მუშაობაში დამაშვრალ ბიძინა მაზიაშვილს საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობაში და უდიდესი წარმატების ჟამსაც ერთად იყვნენ ბედნიერნი. ბევრმა არ იცოდა, რომ ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარი პირველი საბჭოთა ძიუდოისტის შოთა ჩოჩიშვილის სიხარულით გაცისკროვნებული თვალები, პირველ ყოვლისა, მათ, მიუნხენის ხალხით გაჭედილ, პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ უზარმაზარ დარბაზში მორიდებით მდგარ გურამ პაპიტაშვილსა და საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელს ბიძინა მაზიაშვილს დაეძებდა.

მონრეალისა და მოსკოვის ოლიმპიადებზე უკვე აღარავის უკვირდა საბჭოთა ძიუდოისტების მიერ ოლიმპიური მწვერვალების დაპყრობა. ამ საერთო წარმატებათა ფონზე თითქოს გაფერმკრთალდა ქართველ ფალავანთა მიღწევები. თუმცა საბჭოთა კავშირის ნაკრებში ყოველთვის იყო რამდენიმე ქართველი მოჭიდავე, რომლებიც საკმაო წარმატებით [illegible] ევროპის ჩემპიონები გახდნენ დილარ ხაბულიანი, გურამ გოგოლაური, ამირან მუზაევი, მსოფლიო ჩემპიონი თემურ ხუბულური, ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ავიდნენ ფარნაოზ ჩიკვილაძე, გივი ონაშვილი, თემურ ხუბულური, რამაზ ხარშილაძე, მაგრამ მომავალი ჩემპიონების აღსაზრდელად კიდევ მეტის გაკეთება იყო საჭირო. სულ უფრო ძნელად სავალი ხდებოდა სპორტული მწვერვალებისკენ მიმავალი გზა. ადვილი არ იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელობაზე უარის თქმა, მაგრამ „ქართული ძიუდოს" საკეთილდღეოდ ბიძინა მაზიაშვილმა კვლავ ანაცვალა პირადი საზოგადოს.

პირველ ყოვლისა საჭირო იყო სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება. ის პატარა დარბაზი, თხუთმეტ წელიწადს რომ ემსახურებოდა ქართველ ძიუდოისტთა რამდენიმე თაობას, ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და ბიძინა მაზიაშვილიც ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა ზრუნვას. ორ წელიწადს მისგან მოსვენება არ ჰქონდათ საქართველოს სპორტის მესვეურებს, ადვილი არ იყო ახალი საჭიდაო დარბაზის მშენებლობისთვის საჭირო სახსრების გამოძებნა, რადგან იმ პერიოდში მთელი ყურადღება მომავალი, მოსკოვის XXII ოლიმპიადისკენ იყო მიპყრობილი. თავისი მიზნის სისწორეში დარწმუნებულმა კაცმა მაინც თავისი გაიტანა. 1979 წელს თბილისში მწყობრში ჩადგა ქართველ ფალავანთა კიდევ ერთი სამჭედლო—ძიუდოს სასახლე... და აი, ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ გაიბრწყინა „ქართულმა ძიუდომ"— ქარელელი ჭაბუკი შოთა ხაბარელი მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი ახლა ბავშვებსავარჯიშებს, ნორჩების აღზრდას ახმარს თავის გამოცდილებას, აყვარებს ჭიდაობას, უნერგავს მომავალი დიდი გამარჯვებების რწმენას.

გავა წლები, არაერთ მწვერვალს დაიპყრობენ ქართველი ფალავნები, არაერთი ბედნიერი სახე შემოგვანათებს საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატებისა თუ ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან და ყოველი მათგანის ბედნიერი ღიმილის მიზეზი იქნება კაცი, რომელმაც შექმნა, აღზარდა და მაღალი მწვერვალებისკენ გზა დაულოცა „ქართულ ძიუდოს".

გურამ გვარამია.

ბალავერი



ქართულ ფრენბურთს არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი გაუზრდია. სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც იცავდნენ. განსაკუთრებით დიდი აღიარება მოიპოვა ვაჟა კაჭარავამ, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა.

მაგრამ მარტო წარსულით ვის უცხოვრია. დღეს სახელოვანი სპორტსმენების ნაკვალევზე ახალი თაობა მოდის. შარშან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს წარგზავნილებმა მეექვსე (ბიჭებმა) და მერვე (გოგონებმა) ადგილები დაიკავეს. ეს წარმატებები თბილისის განათლების სამმართველოს ფრენბურთის ოლიმპიური რეზერვის სკოლაში იჭედება. ახლა ამ სკოლაში (დირექტორი გიზო იმნაძე) 500-მდე მოზარდი ირიცხება. სამწუხაროდ, მათ დღემდე არა აქვთ ნორმალური სავარჯიშო დარბაზი. წლების განმავლობაში ფრენბურთელები პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე კათოლიკურ ეკლესიაში ვარჯიშობდნენ. სპორტსკოლა ეკლესიაში — ეს ალბათ მართლაც უნიკალური შემთხვევა იყო და ამიტომ ფრენბურთელები გადაიყვანეს გორკის სახელობის პარკში მდებარე ძველ სპორტულ დარბაზში, რომელიც კარგა ხანია ავარიულ მდგომარეობაშია.

სამომავლოდ მოსწავლეთა ქალაქ „მზიურში" პროექტით გათვალისწინებულია ფრენბურთის სპეციალიზებული ბაზის მშენებლობა, რომელიც 1987 წელს უნდა დამთავრდეს. მანამდე მწვრთნელები გულხელდაკრეფილნი როდი სხედან. ამ სკოლის ფრენბურთელებმა (1969-70 და 1971-72 წლებში დაბადებულნი) საკავშირო პირველობის ზონალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და ფინალურ ექვსეულში ითამაშებენ.

გამოცდილი მწვრთნელები — ალექსანდრე მუხინი, იური აკოფოვი, ალექსანდრე იგნატიევი, ვალენტინა ტკაჩენკო ძალასა და ენერგიას არ იშურებენ მოზარდთა ნიჭის სწორად განვითარებისათვის. განსაკუთრებით კარგად მუშაობს 117-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი რევაზ კირვალიძე. მისი აღსაზრდელები თითქმის მუდამ არიან რესპუბლიკის ნაკრებში.

ჯემალ კახრაძე.

ჭაბუკთა ზამთრის
პირველი საკავშირო
სპორტული თამაშები

დასკვნითი ასპარეზობის წინ

კიდევ ერთი დღე და კიროვსკში დამთავრდება ახალგაზრდობის დიდი სპორტული ფორუმი. ხიბინის სამთო-სათხილამურო ტრასებზე და ტრამპლინებზე მწვავე ბრძოლაში გაარკვევენ ურთიერთობებს სპორტსმენები, რომლებიც უკვე ერთი კვირაა ტოლს არ უდებენ ერთმანეთს.

მფრინავ მოთხილამურეთა ბოლოსწინა სტარტი კვლავ 50-მეტრიან ტრამპლინზე შედგა. ამჯერად აქ გუნდური პირველი ადგილისთვის იბრძოდნენ. ისევე, როგორც პირველ დღეს, ჩვენი ჭაბუკები (უმცროსი ასაკი) აქაც კარგად გამოვიდნენ. მართალია, ისინი საპრიზო სამეულის მიღმა აღმოჩნდნენ (მე-4 ადგილი), მაგრამ რესპუბლიკის ნაკრებს კიდევ 50 ქულა შემატეს (სულ კი 122 ქულა მოაგროვეს).

ამ დღეს თავი გამოიჩინა ელგუჯა ორჯონიკიძემ. იგი 59,5 და 62,5 მეტრზე გადახტა და 208,4 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი მეოთხე გამოდგა. მას გორკელმა ევგენი ვაშურინმა (214,7), ლენინგრადელმა ვლადიმერ ელკინმა (211,8) და ალმაათელმა სერგეი ბოდენკომ (210,1) აჯობეს.

ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენმა წარმომადგენლებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: იბრაგიმ გობოზოვი — 201,0 ქულა (57 და 59 მეტრი), კახა წაქაძე — 174,1 ქულა (51,5 და 54,5 მ), ვალერი მინასიანი — 165,4 ქულა (54 და 50,5 მ).

ჩვენს გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს მხოლოდ ეკა უშხვანმა (10 ქულით 21-ე ადგილი) და ბაკურიანელმა დალი მიქაბერიძემ (5 ქულით 26-ე ადგილი).

მურმანსკის სარბოლ ტრასაზე გოგონები პროგრამის ბოლოსწინა სახეობაში ცდიდნენ ძალას. 8 კილომეტრიან დისტანციაზე გამართულ რბოლაში ჩვენს გუნდს, სამწუხაროდ, ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ შესძინა ჩასათვლელი ქულა.

დღეს ჭაბუკთა დიდი ასპარეზობის უკანასკნელი სტარტები გაიმართება.

ოთარ ნოზაძე,

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
კიროვსკი.

დებიუტანტი

გიორგი გაჩეჩილაძე

სამთო-სათხილამურო სპორტი

დაიბადა 1968 წლის 22 იანვარს თბილისში.
სიმაღლე 181 სმ, წონა 70 კგ.
სწავლობს 47-ე საშუალო სკოლის X კლასში.
ვარჯიში დაიწყო 1977 წელს თბილისის განათლების სამინისტროს სამთო-სათხილამურო სკოლაში მწვრთნელ გიორგი ჯიჩოევთან.
სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრია.
სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
რესპუბლიკის ჩემპიონი და პრიზიორი გიგანტურ და სპეციალურ სლალომში ახალგაზრდებს შორის და საქართველოს 1984 წლის თასის მფლობელი.
მონაწილეობს ჭაბუკთა ზამთრის I საკავშირო სპორტულ თამაშებში.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

საბჭოთა კავშირის მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩში, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ ოდესის „ჩერნომორეცი“ და კიევის „დინამო“, ოდესელი ფეხბურთელი ი. შარიი უხეშად მოიქცა. მან განზრახ ხელი ჰკრა არბიტრს კ. დორონინს, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ გასვლითი სხდომა ჩაატარა ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელებთან, იმსჯელა ი. შარიის უდისციპლინობაზე და სათანადო სასჯელი დაადო დამნაშავეს: დისკვალიფიკაცია 10 მატჩით.

ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში კვლავ ცვლილებები მოხდა.

11 მარტს გამოტოვებული მატჩები ჩატარდება შემდეგ დღეებში: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალისტს“ (ხარკოვი) შეხვდება 9 აპრილს, „არარატი“ (ერევანი) „დინამოს“ (მინსკი) — 24 აპრილს ქუთაისის „ტორპედო“ მოსკოვის „დინამოს“ თავის მინდორზე მიიღებს 23 მაისს.

IV ტურის შეხვედრას დონეცკის „შახტიორი“ დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ ჩაატარებს 24 აპრილს, ხოლო VII ტურის მატჩს „დინამო“ (მინსკი) — „ქაირათთან“ (ალმა-ათა) — 9 აპრილს.

21 აპრილს შედგება VIII ტურის მატჩები „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი).

მოკლედ

პორტუგალიელთა გადამჭრელი ზომები

პორტუგალიის მთავრობამ საგანგებოდ იმსჯელა იმ „გულშემატკივართა“ ყოვლად დაუშვებელი, ვანდალური საქციელის თაობაზე, რაც ასე გახშირდა საფეხბურთო მატჩების დროს.

შემუშავებულია სპეციალური დეკრეტი, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მაყურებლები სტადიონებზე. როგორც პორტუგალიის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მთავრობას განზრახული აქვს აღარ ჩაატაროს საფეხბურთო მატჩები იმ სტადიონებზე, სადაც უწესრიგობანი მოხდება.

ლუცერნში, ფიდე-ს სხდომაზე

შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში მიმდინარეობს ფიდე-ს ამასკომის სხდომა, რომელიც ვაჟთა და ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების საკითხებს განიხილავს. სამდივნომ გამოაქვეყნა ვაჟთა მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.

საზონათშორისო ტურნირები გაიმართება ქალაქებში: ტუნისში 25 აპრილიდან, ბილში (შვეიცარია) 29 მაისიდან, ხოლო მეხიკოში ზაფხულში (თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი). თითოეულ ტურნირში 18 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, პრეტენდენტთა ტურნირის საგზურს პირველ ოთხ ადგილზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ.

ფიდე-მ მიზანშეწონილად ჩათვალა საზონათშორისო ტურნირებში მოწინავე მოჭადრაკეების ასეთი განაწილება: ტუნისში ითამაშებენ ა. ბელიავსკი, ვ. გავრიკოვი, ა. იუსუპოვი (ყველა — სსრ კავშირი), ლ. პორტიში (უნგრეთი), დ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია), ე. მაილსი (ინგლისი) და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ბილში — ლ. პოლუგაევსკი, რ. ვაჰანიანი, ე. სოკოლოვი (ყველა — სსრ კავშირი), ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ე. ანდერსონი (შვეცია), დ. საქსი (უნგრეთი), ი. სეირავანი (აშშ), ე. ტორე (ფილიპინები), მეხიკოში — მ. ტალი, ო. რომანიშინი (ორივე — სსრ კავშირი), ჯ. ნანი (ინგლისი), ი. ტიმანი (ჰოლანდია) და რ. ჰიუბნერი (გფრ).

პრეტენდენტთა ტურნირს უმასპინძლებს საფრანგეთის ქალაქი მონპელიე 1985 წლის 12 ოქტომბრიდან. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ პერსონალურად მიწვეული მსოფლიოს ექსჩემპიონები: ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი (ორივე — სსრ კავშირი), ზ. რიბლი (უნგრეთი), ვ. კორჩნოი (შვეიცარია) და საზონათშორისო ტურნირებში გამარჯვებული 12 მოჭადრაკე.

პრეტენდენტთა შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი — ოთხთა მატჩტურნირი 1986 წლის დამდეგს გაიმართება. აქ ბრძოლას გააგრძელებენ I-III ადგილზე გასული დიდოსტატები, აგრეთვე კარპოვ—კასპაროვის მატჩში დამარცხებული მოჭადრაკე.

ფიდე-ს ამასკომი მუშაობას განაგრძობს.

კამპომანესი საკუთარ თავზე, ჭადრაკზე, მსოფლიო პირველობაზე

ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი შეხვდა რიგის საჭადრაკო კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს. პრეზიდენტი შეკრებილთ ესაუბრა თავის საქმიანობაზე, პასუხი გასცა მათ შეკითხვებს.

— 1947 წლიდან, აშშ-ის ბრაუნის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1954 წლამდე მანილის უნივერსიტეტში ვმუშაობდი, მსურდა მეცნიერებას გავყოლოდი. მაშინ ჭადრაკი ჩემთვის მხოლოდ ჰობი იყო. მართალია, ფილიპინების პირველობებში ვთამაშობდი, 1956 წელს ჩემპიონიც კი გავხდი, მაგრამ ვხედავდი, რომ ჩემს ქვეყანაში ჭადრაკი ყველაზე ნელა ვითარდებოდა, უფრო სწორად, საერთოდ არ ვითარდებოდა. გადავწყვიტე დამეწყო საყვარელი თამაშის პროპაგანდა. სათავეში ჩავუდექი გაზეთ „მანილა ტაიმსის“ ჭადრაკის განყოფილებას, მასალებს ვბეჭდავდი კვირაში ორჯერ. განყოფილება თანდათან გაფართოვდა და პოპულარობა მოიხვეჭა. საჭადრაკო კუთხე სხვა გაზეთებშიც გაიხსნა. ტელევიზიამ სისტემატური ხასიათი მისცა საჭადრაკო გადაცემებს. ამ მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: გახშირდა ტურნირები, რომელთა ორგანიზებაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას.

1956 წელს ფილიპინები ფიდე-ს წევრად მიიღეს და ჩვენც გადავწყვიტეთ გვეთამაშა XII ოლიმპიადაში, რომელიც მოსკოვში უნდა გამართულიყო. მე ისეთი კაცი ვარ, საქმეს თუ მოვკიდე ხელი, აუცილებლად ბოლომდე უნდა მივიყვანო. და აი, მოვინდომე ყველა დაბრკოლება გადამელახა — არადა რამდენი რამ მიშლიდა ხელს — და მოსკოვში წავსულიყავი. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო უნივერსიტეტიდან გათავისუფლება, იქ ოთხ კურსზე ვკითხულობდი ლექციებს, შემდეგ კი გუნდის შეკრება. ამ საქმეში ფილიპინელებს გამოცდილება არა გვქონდა.

მოსკოვში უკვე დაღლილი ჩამოვედი. ამხანაგებს ვთხოვე, ჯერ მეორე დაფაზე ვითამაშებ, მერე პირველზე გადავალ-მეთქი. მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, რომ ასეთი გადაადგილება დაუშვებელი იყო. ასე რომ, ფილიპინების ჩემპიონს ბოლომდე მეორე დაფაზე მომიხდა თამაში. მოსკოვში პირველად დავესწარი ფიდე-ს კონგრესს, გავიცანი ბევრი მოჭადრაკე და სპორტის მოღვაწე. ასე ჩავები საჭადრაკო „ორომტრიალში“, თუმცა არც ძირითადი საქმე — საერთაშორისო ურთიერთობანი — დამვიწყებია. სხვათა შორის იგი ძალზე გამომადგა ფიდე-ში მუშაობისას.

ჩემს, როგორც ფიდე-ს პრეზიდენტის, ძირითად მოვალეობად მიმაჩნია მოჭადრაკეთა ინტერესების დაცვა, ჭადრაკის განვითარება, ეროვნულ ფედერაციებთან კავშირის განმტკიცება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირადი კონტაქტების დამყარებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გაიგო, რა ხდება ადგილებზე. ვცდილობ პირადად დავესწრო დიდ შეჯიბრებებს. მართალია, დიდოსტატი არა ვარ, მაგრამ ყველა დიდოსტატს ვიცნობ. ეს ხელს მიწყობს პრობლემების გადაწყვეტაში. მაგონდება 1974 წელი, მანილაში ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი. ყველა, 24 მონაწილეს სახელებით რომ მივმართე, ძალიან გაუკვირდა მინისტრს. თქვენ მოჭადრაკე კი არა, პოლიტიკოსი ყოფილხართო,“ მითხრა.

როგორც ჩანს, მსოფლიო პირველობაზე მატჩის იდეალური სისტემა ძნელი მისაგნებია. კარპოვ-კასპაროვის შეხვედრამ გვიჩვენა, რომ მოქმედი დებულება გადასინჯვას მოითხოვს, რადგან თავისი ხარვეზები აქვს. ინგლისური ანდაზა ამბობს: „პუდინგის გემო რომ გაიგო, ჯერ საჭიროა იგი შეჭამო“. როცა რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას დავისახავთ მიზნად, ჯერ ვცდით, ექსპერიმენტებს ვატარებთ, რაც გაგვიმართლებს და გამოგვადგება, იმას ვამტკიცებთ. რაც შეეხება მსოფლიო პირველობაზე მატჩის ახალ დებულებას, ამაზე ფიდე ბევრს ფიქრობს. მიმდინარეობს კონსულტაციები საჭადრაკო მოღვაწეებთან, მოწინავე საჭადრაკო ქვეყნების ფედერაციებთან, დიდოსტატების საბჭოსთან. მაქვს ჩემი „საშინაო ვარიანტიც“. საუკეთესოს ყველა შესაძლებელი ვარიანტის ანალიზის შემდეგ ამოვარჩევთ.

ექვს მოგებამდე თამაშის წესი ფიშერის დროიდან, 1972 წლიდან მოდის. მაშინ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო წარმოგვედგინა რომ მატჩი მსოფლიო პირველობაზე ასე გაჭიანურდებოდა. საინტერესოა, რომ თვით ფიშერი მოითხოვდა მატჩის 10 მოგებამდე გაგრძელებას. მაშინ რაღა იქნებოდა!

მოგვწონს თუ არა, ახლა ჭადრაკში სპორტის ელემენტებმა იმძლავრა. მორფისა და ანდერსენის დრო კარგა ხანია წავიდა.

გაცილებით ადვილია რაიმეს დასახვა, ვიდრე შემდეგ ცხოვრებაში მისი განხორციელება. გავიხსენოთ მსოფლიო პირველობის სამწლიანი ციკლის ორწლიანით შეცვლა. როცა ციკლი სამწლიანი იყო, მოჭადრაკეები ამბობდნენ, რამდენ ხანს გვიხდება ცდაო. ყოველგვარი სიახლე ეჭვს იწვევს ხოლმე. ცოტა მოვიცადოთ, იქნებ ორწლიანი სისტემა სულაც არ აღმოჩნდეს ცუდი...

მასალა მოამზადა
ვიკა ბამრეკელმა.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 17 მარტს გამართული მორიგი, მე-11 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: გაიყიდა 736 936 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (27 ბარათი) მოგება 1730 მანეთია, ოთხისთვის (1416 ბარათი) — 46, სამისთვის (26930 ბარათი) — 4.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 5 496 588 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (12 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (2 854 ბარათი)— 191, სამისთვის (109143 ბარათი) — 9.

მოგებული თანხის განაღდება 28 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით.



ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 28 მარტი. საჭადრაკო სკოლა— 16.40 (1). **29 მარტი.** რიტმული ტანვარჯიში — **20.15** (2); საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზზე — **24.35** (1).

საკავშირო რადიო. 28 მარტი. ტანვარჯიში — **6.15** და **7.15;** ყურადღება, სტარტზე! — **8.40;** საწარმოო ტანვარჯიში — **12.00. 29 მარტი.** ტანვარჯიში— **6.15** და **7.15;** საწარმოო ტანვარჯიში — **12.00.**

საქართველოს რადიო. 28 მარტი. სპორტის მოყვარულთათვის — **13.30** (რადიოსადგური „მთაწმინდა“); **29 მარტი.** სპორტის მოყვარულთათვის — **13.30** („მთაწმინდა“).

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „შერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06055